დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2023 წლის 02 ოქტომბერი №01-4/184 ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“
შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად და განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ მიერ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების, ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. შუალედური შეფასების მიზანი და სამართლებრივი შედეგები

1. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.
2. შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
3. შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. გამოიყენება, როგორც პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის, ასევე - პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.
4. შუალედური შეფასება სავალდებულოა და იგი წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

მუხლი 3. შუალედური შეფასების წესი

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, შუალედური შეფასება უნდა განხორციელდეს კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) წარმომადგენლების ჩართულობით, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. **დუალური მიდგომით** განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია შეფასება განახორციელოს სასწავლო საწარმოსთან ერთად.
2. დარგობრივი უნარების ორგანიზაცია უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასების დაგეგმვა-ორგანიზებაში.

3. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ

სწავლის შედეგებს და უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

4. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- კომპლექსური დავალება;
- პრაქტიკული დავალება;
- პრეზენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

5. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით;
6. შუალედური შეფასების ჩატარების მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით (თავმჯდომარე, მდივანი, წევრები).
7. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს დარგის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
8. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
9. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
10. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სასწავლო პროცესისა და საწავლო პრაქტიკის მენეჯერის წარდგინებით;
11. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება სასწავლო პროცესისა და საწავლო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ჯგუფში შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კომუნიკაციის ან ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსების გზით, შუალედური შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე;
12. შუალედურ შეფასებაზე დაიშვება ყველა აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობა დადგენილია მხოლოდ დუალური სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. კერძოდ, დუალური ფორმით პროგრამის განხორცილების შემთხვევაში, შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.
13. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;
14. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
15. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;
16. შუალედური შეფასება სრულდება განმავითარებელი უკუკავშირით. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
17. კომისია შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ახორციელებს შეფასებიდან 10 დღის ვადაში ინდივიდუალურად;
18. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას,

მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

19. შუალედური დავალება უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. შუალედური დავალების პირობა იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ წარმოჩნდეს როგორც სტუდენტის თეორიული ცოდნა, ასევე - პროფესიული სტუდენტის უნარი.

20. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება. დიფერენცირებული შეფასებისას მაქსიმალური შეფასებაა - 100 ქულა (სკალირებული).

21. შუალედური დავალება, შესაძლოა შედგებოდეს ორი განცალკევებული - თეორიული (თეორიული შუალედური დავალება) და პრაქტიკული ნაწილისაგან (პრაქტიკული შუალედური დავალება) ან შედგეს ერთიანი შუალედური კომპლექსური დავალების სახით, სადაც იქნება ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

22. შუალედური შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: შესაბამისი პროგრამის დასახელება, შეფასების ტიპის დასახელება (შუალედური შეფასება), დავალების სახე, დავალების პირობა, დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო, პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, შეფასების თარიღი.

23. შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი პირი ვალდებულია, წარადგინოს ინფორმაცია შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის (ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი) შესახებ.

მუხლი 4. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შუალედური შეფასების თავისებურებები

1. დუალური სწავლების სახით პროგრამის განხორციელებისას პროფესიული სტუდენტი რეგულარულად აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, სადაც აღირიცხება პროფესიული სტუდენტის შეფასება სასწავლო საწარმოში მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი სწავლის შედეგების ნაწილში.

2. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი შუალედურ შეფასებამდე, ასევე პროგრამის დასრულებამდე და პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებამდე სულ მცირე 5 დღით ადრე, ჩანაწერების ჟურნალში არსებული ჩანაწერების შეფასების საფუძველზე, ადასტურებს ან არ ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

3. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას;

4. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას, მოდულით განსაზღვრულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

მუხლი 5. შუალედურ შეფასებაში განმეორებით მონაწილეობა

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში.

2. შუალედურ შეფასებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ შეფასებაზე გასვლის უფლება ერთჯერადად ამ მუხლით დადგენი პირობებითა და წესი, შესაბამისი განცხადებისა წარმოდგენიდან 3 კვირის ვადაში;

3. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

- ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც გამორიცხაცს ძირითად ვადებში სტუდენტის მიერ შეფასების პროცესში მონაწილეობას;
- ფორსმაჟორული გარემოება;

4. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, წარმოადგენს სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ დაშვების წინაპირობას. ამასთან, სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დუალური სწავლების შემთხვევაში შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.
2. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
4. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის წარდგინებით, არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე 2 კვირით ადრე;
5. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით და მათი ჩატარება ხდება შესაბამის გარემოში სხვადასხვა დღეს.
6. პროფესიულ სტუდენტს საკვალიფიკაციო გამოცდის (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის) ჩატარების, საგამოცდო თემატიკის, პროცედურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ეცნობება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე სულ ცოტა 2 კვირით ადრე (ჯგუფური შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კომუნიკაციის ან ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსების გზით).
7. საგამოცდო თემატიკა არ უნდა სცილდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სამუშაოს დაგეგმვა და მიცემული დავალების შესრულება, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.
8. საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესის მონიტორინგისათვის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დამკვირვებელი პირი/პირები;

9. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- კომპლექსური დავალება;
- პრაქტიკული დავალება;
- პრეზენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

10. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით;
11. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით (თავმჯდომარე, მდივანი, წევრები). კომისიის უმეტესობას უნდა ქმნიდნენ ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
7. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს დარგის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
8. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
9. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

11. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;
12. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;
13. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/პირები;
14. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ინდივიდუალური შეხვედრის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
15. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მას საშუალება ექნება 1 (ერთი) თვის განმავლობაში განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯს. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტი.
16. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი აღარ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე და მასზე გაიცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ;

მუხლი 7 დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდის თავისებურებები

1. დუალური სწავლების შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების წინაპირობას, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებასა და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობასთან ერთად, წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას და განხორციელებას კოლეჯი ახდენს სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით.
3. პრაქტიკული კომპონენტის გამოცდის ჩატარება ხდება სასწავლო საწარმოში.
4. პრაქტიკული გამოცდის საკითხებს შეიმუშავებენ კომპანიის ინსტრუქტორები, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების კოორდინირებით.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრება

1. საკვალიფიკაციო გამოდის შედეგების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;
2. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში,

კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სააპელაცო კომისიას, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით (თავმჯდომარე, მდივანი, წევრები). სააპელაციო კომისიას უნდა ქმნიდნენ ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩტარების მიზნით შექმნილ კომისიაში;

3. სააპელაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

4. სააპელაციო კომისიას უფლება აქვს:

ა) ხელახლა შეაფასოს დავალება;

ბ) დატოვოს იგივე შეფასება ძალაში.

5. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობება საჩივრის ავტორს წერილობითი სახით;

6. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდეს 2024 წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

2. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთათვის შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდეს წინამდებარე წესის დამტკიცების თარიღიდან.